კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.molhs.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 15 მარტი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
www.molhs.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
56,52%
72,62%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
23,08%
79,17%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
31,88%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
66,67%
28,69%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
29,17%
24,71%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15,38%
33,25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40,00%
28,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
50,00%
0,00%
50,00%
100,00%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. სამინისტროს დებულების თანახმად, მინისტრს, საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

- ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება მინისტრის სამუშაო ელ.ფოსტა. განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ მოცემული მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები, სამუშაო ელ.ფოსტის დამატებით, სასურველია აგრეთვე განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“:

მინისტრი

თემურ გაბაიძე

დაბადების თარიღი: 01.09.1966 წელი
დაბადების ადგილი: ხულოს რაიონის სოფელი ხიხამირი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ორი შვილი
ენები: რუსული, ინგლისური

განათლება: 1992 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სპეციალობა მეან–გენეკოლოგი
1992–1993წ.წ გაიარა ინტერნატურა აკად. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა–გენეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში
2002 წლის საქათველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ბაზაზე სამეცნიერო დისერტაციის დაცვის შემდეგ მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება „ აბდომინალური გზით წარმოებული საკეისრო კვეთის შემდეგ ქალის რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენის თავისებურებანი“
2004 წელს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი

სამუშაო გამოცდილება: 1993 წლიდან მუშაობდა ხულოს რაიონის სამშობიარო სახლის ექიმ მეან–გენეკოლოგად

1993 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა ხულოს რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად
1999 წლის 29 ივლისს დაინიშნა შპს „ხულოს დედათა და ბავშვთა რეგიონალური ცენტრის დირექტორად
2004 წლის 5 ოქტომბერს დაინიშნა შპს „ ბათუმის



ამასთან, სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „მინისტრი“ სადაც განთავსდება მინისტრის შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული შესაბამისი ინფორმაცია:



- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. სამინისტროს დებულების

თანახმად, მინისტრის მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

- არ მოიშიება აგრეთვე მინისტრის მოადგილეების საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ ერთ-ერთი ბმული სათაურად „მინისტრის მოადგილე“ ცარიელია, და არ არის წარმოდგენილი მინისტრის მეოთხე მოადგილის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:



სასურველია, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრის მოადგილის პოზიცია ვაკანტურია, ხსენებულ ბმულს „მინისტრის მოადგილე“ დაემატოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის“, ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ *ან მისთ.*

ამასთან, სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „მოადგილეები“ სადაც განთავსდება მოადგილეების შესახებ ყველა სახის ზემოთ ხსენებული შესაბამისი ინფორმაცია;

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საფოსტო მისამართი. ამასთან, აღნიშნულ განყოფილებაში წარმოდგენილ საკონტაქტო ტელეფონის ნომერს არ აქვს მითითება, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები);

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მოქალაქეთა მიღება“ წარმოდგენილი სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“:





მოქალაქეთა მიღების განრიგი

მოქალაქეთა მიღება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ხელმძღვანელი პირების მიერ მოქალაქეთა მიღება წარმოებს ყოველ სამუშაო დღეს სამუშაო საათების განმავლობაში:

მინისტრი _ თემურ გაბაიძე

მინისტრის პირველი მოადგილე – თამაზ კარანაძე

მინისტრის მოადგილეები – ნონა გალოგრე, ფირან კალანდაძე, რამაზ ჯინჭარაძე

მოქალაქეთა მიღებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფენ მინისტრის თანაშემწეები: **შოთა დოლიძე, დავით ქათამაძე, რუსუდან აბაშიძე.**

5. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს ზემდგომი ორგანოს, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასახელება:

6. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“ სადაც განთავსდება სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

7. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს კომპეტენციის, ამოცანებისა და ფუნქციების აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“, წარმოდგენილ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალთან ერთად სასურველია აგრეთვე მოცემული იყოს სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენელი განყოფილებების აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, სამმართველოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალიც:



- არ არის მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების აღწერა;

- არ არის წარმოდგენილი სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის - ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ხელმძღვანელის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია; ხსენებულ განყოფილებაში წარმოდგენილი შესაბამისი ბმული არ არის აქტიური/არ მუშაობს:



- არ არის წარმოდგენილი სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო

რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ირაკლი მაჩარაძე _ ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

მისამართი _ ქ.ბათუმი
დაბადების თარიღი და ადგილი: ქ.ბათუმი, 1967წ, 9 ოქტომბერი
განათლება _ #1 საშუალო სკოლა
უმაღლესი განათლება _ თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - იურიდიული ფაკულტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი
შრომითი საქმიანობა: 1984-1991 ხელვაჩაურის რაიონის საგზაო სამმართველო – მე-3 თანრიგის მუშა
1992-1993 ბანდიტიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეცრაზმი – ოპერატიული თანამშრომელი
1993-1995 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მისაღების პასუხისმგებელი ორგანიზატორი
1995-2000 სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამსახურის აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე
2005-2006 წწ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსი
ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და 2 შვილი

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი – დალილა ცივაძე

მისამართი - ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.#18, ბინა9

დაბადების ადგილი და თარიღი - ქ.ბათუმი, 1965წლის 16 მარტი
განათლება: 1971-1981 წლები ქ.ბათუმის #2საშუალო სკოლა, ოქროს მედლით
უმაღლესი განათლება --- 1983-1989 წლები შუა აზიის პედიატრიის ინსტიტუტი (ქ.ტაშკენტი) წარჩინებით
შრომითი საქმიანობა: 1989-1990 წწ. თბილისის #1 საავადმყოფო, ექიმი-ინტერნი,
1991-1994 წწ ქ.ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკა ექიმი პედიატრი
1994-1996 წწ. ბათუმის სამშობიარო სახლი, ექიმი ნეონატოლოგი
1996-2005 წწ ქ.ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკა უბნის ექიმი

2005 წლიდან დღემდე აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანდაცვის განყოფილების უფროსი
2006 წლიდან დღემდე ქ.ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მედიცინის ფაკულტეტი, ლექტორი (კურსი: საოჯახო მედიცინა და პირველადი ჯანდაცვა)

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და 2 შვილი

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტრო“:

ამასთან, ხსენებულ განყოფილებაში არსებულ ქვე-განყოფილებაში „შიდა აუდიტის დეპარტამენტი“ ცარიელია შიდა აუდიტის მთავარი სპეციალისტის შესახებ ინფორმაციული გრაფა:





სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტრუქტურა“, სადაც განთავსდება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ ზემოთ ხსენებული ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია;

9. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს სათათბირო ორგანოს - „მინისტრის საბჭოს“ შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სათათბირო ორგანოს - „მინისტრის საბჭოს“ შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- სათათბირო ორგანოს - „მინისტრის საბჭოს“ ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- სათათბირო ორგანოს - „მინისტრის საბჭოს“ სტრუქტურა და შემადგენლობა;
- სათათბირო ორგანოს - „მინისტრის საბჭოს“ სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

ხსენებული სათათბირო ორგანოს შესახებ ინფორმაციული ხასიათის რამდენიმე ცნობა წარმოდგენილია მხოლოდ ვებ-გვერდზე განთავსებულ სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციული ხასიათის მიმოხილვებში ახალ ამბებთან ერთად:

მინისტრის საბჭო

28 ოქტომბერს აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლევან აწთაძის მიერ ჩატარდა მინისტრის საბჭო, რომელზეც მოწვეული იყო ბათუმისა და რაიონების სამედიცინო დაწე-სებულებების ხელმძღვანელები. თათბირზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1.აჭარის არ ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობის ანალიზი 2010 წლის 9 თვე (მ. ჩხაიძე, წ. გუგუშვილი)

2.ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის არ ფილიალის მიერ 2010 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ (მ. აბულაძე)

3.ინფორმაცია 2010 წლის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ (თ.კარანაძე, მ. ფაღავა).

მინისტრის საბჭოს სხდომა

თებერვალს აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჩატარდა მინისტრის საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს შემდეგი საკითხები:

1.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთაA უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამების შესრულების ანგარიში

2.ინფორმაცია არ საზოგადობრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2010წ. გაწეული საქმიანობის შესახებ

3.ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის არ ფილიალის მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სხდომაზე ასევე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსი _ მიწური აბულაძე და აჭარის სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები.

სხდომის დასასრულს ისაუბრეს დღეისათვის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის სეზონური გრიპის ამჟამინდელ მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ დაავადების პიკმა უკვე გაიარა და შეინიშნება კლებადობა, თუმცა კვლავ მოსალოდნელია H1N1 ვირუსის ხელახლა გააქტიურება.

მინისტრის საბჭოს სხდომა

თებერვალს აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჩატარდა მინისტრის საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს შემდეგი საკითხები:

1.აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთაA უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური, სოციალური დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამების შესრულების ანგარიში

2.ინფორმაცია არ საზოგადობრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2010წ. გაწეული საქმიანობის შესახებ

3.ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის არ ფილიალის მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ვაკანსიებისა და ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების

მონაცემთა ბაზა, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2012 წლის კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროექტების მონაცემთა ბაზა *და ა.შ.*

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, მოიძიებოდეს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი მონაცემთა ბაზები:

- ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაუჩერის ფორმის, მისი გაცემისა და გამოყენების წესის პროექტი;

- სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხების შესაბამისი პროექტები;

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ მომზადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პროექტები.

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:

სიახლეები

- თემურ გაბაიძე ფორუმს სახელწოდებით – "რეგიონალური განვითარება და ახალგაზრდობის როლი" დაესწრო

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ფორუმს სახელწოდებით, „რეგიონაური განვითარება და ახალგაზრდობის როლი“ დაესწრო, თემურ გაბაიძე ფორუმს აჭარის განათლების მინისტრთან ერთად დაესწრო. შეხვედრაზე მინისტრებმა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ახალგაზრდობის ჩართულობაზე ისაუბრეს...

ვრცლად

2012-03-19

- თვალის გამოკვლევა ბევრს გვიამბობს თავის ტვინის მდგომარეობის შესახებ

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თავის ტვინის სხვადასხვა დეგენერაციული დაავადებები, როგორიცაა მაგალითად, ყველასთვის კარგად ცნობილი ალცჰეიმერის დაავადება, შეიძლება მაღალი ალბათობით იქნას ნავარაუდები ადამიანის თვალის მდგომარეობის ანალიზის შემდეგ...

ვრცლად

2012-03-19

- ინფორმაცია სამინისტროს 2012 წლის ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის დაფინანსების შესახებ

2012 წლის იანვარსა და თებერვალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია 774 მოქალაქეს და შესაბამისად, გაიცა 774 ვაუჩერი - 663.244.08 ლარის ოდენობით...

ვრცლად

2012-03-19

ამასთან, სამინისტროს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები/„სიახლეები“ განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე, რა გვერდსაც არ გააჩნია წვდომა ვებ-გვერდის სხვა (ქვე-)განყოფილებებთან, აღნიშნული კი სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის ხსენებული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



12. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ერთიანი განცალკევებული განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც ვებ-გვერდზე უკვე არსებულ შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, განთავსდებოდა სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2012 წლის კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

13. სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, აგრეთვე, მონაცემები, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებული სიტუაციის განვითარების დინამიკას, მიმოფანტულად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სხვადასხვა“ :



სხვადასხვა

ცნობა სამინისტროს მიერ 2009 წლის 1 იანვრიდან 24 ივლისამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ	წაკითხვა	გადმოწერა
2010 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა	წაკითხვა	გადმოწერა
დაავადებათა სტატისტიკური მონაცემები	წაკითხვა	გადმოწერა
დაავადებათა სტატისტიკური მონაცემები – I კვარტალი	წაკითხვა	გადმოწერა
დაავადებათა სტატისტიკური მონაცემები – II კვარტალი	წაკითხვა	გადმოწერა
დაავადებათა სტატისტიკური მონაცემები – III კვარტალი	წაკითხვა	გადმოწერა
2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა	წაკითხვა	გადმოწერა
განცხადება	წაკითხვა	გადმოწერა
2012 წლის პროგრამების შესრულების წესი	წაკითხვა	გადმოწერა
ინფორმაცია სამინისტროს 2012 წლის ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის დაფინანსების შესახებ (იანვარი–თებერვალი)	წაკითხვა	გადმოწერა

სასურველია, აღნიშნული და სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა სახის სტატისტიკურ მონაცემებს თავი მოეყაროს შესაქმნელ ერთიან განყოფილებაში სათაურად - „სტატისტიკა“.

14. პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიშები წარმოდგენილია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ბიუჯეტი“:



ბიუჯეტი

სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტი	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2007 წლის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2008 წლის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2009 წლის 9თვის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2009 წლის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტი	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2010 წლის 6 თვის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2010 წლის 9 თვის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2010 წლის 12 თვის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2011 წლის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა
სამინისტროს 2011 წლის ანგარიში	წაკითხვა	გადმოწერა

სასურველია, აღნიშნული სახის ანგარიშები განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პროგრამები“:

პროგრამები

2010 – ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარები კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ავტოტრანსპორტის შემენის კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – ,,ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების'' კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2010 – თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	წაკითხვა	გადმოწერა
2009 – რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო (გულის ქირურგიის) მომსახურების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2009 – `ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის'' პროგრამა	წაკითხვა	გადმოწერა
2009 – 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა
2009 – დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	წაკითხვა	გადმოწერა

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებას სათაურად „კანონმდებლობა“ სასურველია გადაერქვას დასახელება და ეწოდოს - „სამართლებრივი აქტები“. ამასთან, ხსენებულ განყოფილებაში განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით. სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სამართლებრივი აქტების პროექტები:



სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს მინისტრის მიერ დამტკიცებული სამინისტროს საშტატო ნუსხა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები და მოადგილეებსა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირებს შორის ფუნქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი.

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული სოციალური დაცვის სფეროში მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები და იურიდიული დეპარტამენტის მიერ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები.

ამასთან, სამინისტროს დებულება და შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ (ქვე-)განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;

- საქართველოს კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“;

- საქართველოს ორგანული კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე” ;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“;

- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტის შესაბამისი ბმული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულება“ დაზიანებულია/არ იხსნება:





- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის

შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა ნაწილობრივ, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/ajarajandacva_sajaroinfo.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ სხვა ინფორმაცია.

სამინისტროს მიერ 2009 წლის 01 იანვრიდან 24 ივლისამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სხვადასხვა":



სასურველია, ყველა ზემოთ ხსენებული ინფორმაცია, უახლეს ინფორმაციასთან ერთად (2011, 2012 წწ.), განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში სათაურად „ტენდერები“.

*(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა ნაწილობრივ, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/acharajandacva_shesyidvebi.pdf);

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

ვაკანსიის რამდენიმე განცხადება განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდზე წარმოდგენილ სიახლეებში:

განცხადება

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში კონკურსის გავლის შესახებ

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ''ეპიდზედამხედველობის განხორციელების, ეპიდსიტუაციის მართვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის'' 2012 წლის მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით აცხადებს კონკურსს ეპიდემიოლოგის - 2 ვაკანსიასა და და ენტომოლოგის ერთ ვაკანსიაზე.

1. ეპიდემიოლოგის ვაკანსიაზე კონკურსი ჩატარდება გასაუბრების ფორმით და კონკურსში მონაწილე ნებისმიერ პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი სამედიცინო განათლება - (ეპიდემიოლოგი, საქართველოს კანონი - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (თავი IX, მუხლი 39. შრომითი/ადამიანური რესურსები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში),
ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
გ) ''ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონი;
დ) ''საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ'' საქართველოს კანონი;
ე) ''პაციენტის უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონი;
ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება - ''საქართველოში გადამდებ დაავადებათა შემთხვევების/აფეთქებების კვლევის, კოდირების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების (დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, წითელა, წითურა, ყბაყურა, ჰეპატიტი ''ბ'') და ჰიდროფობიის შემთხვევათა ეპიდემიოლოგიური მართვისა და გავრცელების პროფილაქტიკის შესახებ'' №55/ო 22.02.2005;
ზ) ''პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო საღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის №183/ნ ბრძანება;
თ) ''ინფექციური კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში'' - გაიდლაინი (№148/ო. 14.04.2009);

უნარ-ჩვევები
ა) ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ბ) კომუნიკაბელურობა;
გ) გუნდური მუშაობის უნარი;

1. ენტომოლოგის ვაკანსიაზე კონკურსი ჩატარდება გასაუბრების ფორმით და კონკურსში მონაწილე ნებისმიერ პირს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება (ბიოლოგი, ზოოლოგი, სამედიცინო განათლება);

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის*

პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/acharajandacva_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ და მეორე კვარტალში (იანვარი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა ნაწილობრივ, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/ajarajandacva_xelfasebi.pdf);

- არ მოიძიება სამინისტროს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ **<u>პროექტების</u>** (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
44,44%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
11,76%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
20,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
26,32%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5

შენიშვნა:

ზოგადად ვებ-გვერდის მონიტორინგის ჩატარება-არჩატარების საკითხი გადაუწყვეტელი იყო, რადგან ვებ-გვერდი მუშაობს მხოლოდ ბრაუზერ „Opera“-ში.

- **ნავიგაცია**

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ვებ-გვერდი 2009 წელს შეიქმნა მასზე ჯერ კიდევ არ არის განთავსებული ვებ-გვერდის რუკა.



ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ძალიან არალოგიკური შემთხვევა ფიქსირდება. ინგლისურ ვერსიაში ყოფნის დროს, ღილაკი რომელსაც აწერია „ინგლისურად“ ყოველთვის გამოუყენებელი დარჩება, რადგან თუ უცხოელი შედის ვებ-გვერდზე იგი ქართულად ვერ წაიკითხავს ღილაკის სახელწოდებას. ეს ღილაკი არ შეესაბამება ლოგიკას:

- **ძიება**

ვებ-გვერდს გააჩნია ძიების მოდული, თუმცა მასში ავტომატურად ქართული ფონტით (უნიკოდით) არ იწერება. მაგ:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ჩანს ქართული ბანერები და ტექსტები, რაც ლოგიკას მოკლებულია.

მაგ:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმას არ აქვს დამცავი კოდი. რის გამოც შეიძლება მოხდეს ვებ-გვერდის „დასპამვა“ ელ.ფოსტების მეშვეობით. მაგ:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ზოგადად ვებ-გვერდს ეტყობა, რომ დაუმთავრებელია. მასში არსებობს უამრავი ტექსტები, რომელიც პროგრამისტის მიერ არის სატესტოდ შეტანილი. მაგ:

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვებ-გვერდი ფუნქციონირებს მხოლოდ ბრაუზერ „Opera“-ში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზია.

ბრაუზერ Safari:



ბრაუზერ Google Chrome:



ბრაუზერ Internet Explorer:



და ბრაუზერი „Opera“, რომელიც ერთადერთია სადაც ვებ-გვერდი გამართულად მუშაობს:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ვებ-გვერდი ფუნქციონირებს მხოლოდ ბრაუზერ „Opera“-ში. პირველ რიგში უნდა გამოსწორდეს ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი. ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს ყველა იმ მოდულებისა და ფუნქციების გამართვა რაც ინტეგრირებულია ვებ-გვერდზე.